



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 85/ს
17/05/2022

85-21-4-202205170916



**ქ. ბათუმში, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ ავტოგასამართ სადგურზე
ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის
გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ქ. ბათუმში, გიორგი ლეონიძის ქ. №9-ში არსებულ ავტოგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ავტოგასამართი სადგური მდებარეობს ქ. ბათუმში, გიორგი ლეონიძის ქ. №9-ში, შპს „ნიაზის“ საკუთრებაში არსებულ 1502 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: 05.25.07.012) ნაწილზე (452.86 მ²), რომელსაც შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 30 მეტრით. ობიექტის სამხრეთით, დაახლოებით 310 მეტრში, მდებარეობს შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ ავტოგასამართი სადგური.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, არსებული ობიექტი ფუნქციონირებს 2012 წლიდან და საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისთვის საჭირო შემდეგი ინფრასტრუქტურა: ოფის-მარკეტისა და ავტოსახელოსნოს შენობა, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, საწვავმარიგებელი სვეტების ფარდული (4 ერთეული, ორმხრივი საწვავმარიგებელი სვეტით) და 6 ერთეული ნავთობპროდუქტების რეზერვუარი, რომელთაგან 3 ერთეული გაუქმებულია, 2 ერთეული (ჯამური მოსულობა - 89.81 ტონა) განკუთვნილია ბენზინის საწვავისთვის და ერთი ერთეული (49.8 ტონა) - დიზელის საწვავისთვის.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე არსებული სარეზერვუარო პარკის დემონტაჟი და მათ ნაცვლად 4 ცალი ახალი რეზერვუარის (თითოეულის მოცულობა - 15,708 ტონა) განთავსება, რომელთაგან 2 ერთეული გამოყენებულ იქნება ბენზინის, ხოლო ორი ერთეული - დიზელის საწვავისთვის. რეზერვუარები დამზადებული იქნება ლითონისგან, დაფარული იქნება ანტიკოროზიული საღებავის ორი ფენით და აღჭურვილი იქნება

სასუნთქი სარქველებით (სიმაღლე – 3.6 მ; დიამეტრი – 0.05 მ). საპროექტო რეზერვუარები განთავსდება მიწისქვეშა ბეტონის სარკოფაგში, ჰიდროსაიზოლაციო ფენაზე და არსებული სივრცეები შევსებული იქნება ღორღით. სარეზერვუარო პარკის ტერიტორია შემოიღობება 1,8 მ სიმაღლის ცეცხლგამძლე ბეტონის მასალით. რეზერვუარებიდან ნავთობპროდუქტები, მიწისქვეშა მილსადენების მეშვეობით, მიეწოდება საწვავმარიგებელ სვეტებს, საიდანაც მოხდება საწვავის მომხმარებელზე გაცემა. დოკუმენტის თანახმად, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ასევე დაგეგმილია არსებული 4 ერთეული საწვავმარიგებელი სვეტის დემონტაჟი და მათ ნაცვლად 2 ერთეული ახალი სვეტის მოწყობა, რომლებიც განთავსებული იქნება 15 სმ სიმაღლის ბეტონის კუნძულებზე. გარდა ამისა, ობიექტის ტერიტორიაზე არსებულ ინფრასტრუქტურას, მათ შორის, ავტოსახელოსნოს, ოფის-მარკეტის შენობასა და საწვავმარიგებელი სვეტების ფარდულს ჩაუტარდება სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ავტოგასამართი სადგურის ტერიტორია კეთილმოეწყობა, განახლება ბეტონის საფარი და ბორდიურები, განთავსდება ნავთობდამჭერი, სანიაღვრე სისტემა და მეხამრიდი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართ სადგურზე სარეალიზაციო საწვავის მიღება განხორციელდება კომპანიის კუთვნილი ავტოცისტერნებით. აღსანიშნავია, რომ საწვავის მიღებისას გათვალისწინებულია ავტოცისტერნის დაერთდება დამიწების ქანჭიკზე და საწვავის მიღების პროცესის მხოლოდ აღნიშნული ქმედების შემდეგ დაწყება. ობიექტზე წლის განმავლობაში დაგეგმილია 2000 მ³ ბენზინისა და 2000 მ³ დიზელის რეალიზაცია. ავტოგასამართი სადგურის სამუშაო რეჟიმად განსაზღვრულია წელიწადში 365 დღე, დღე-ღამეში 24 საათი. ობიექტზე დასაქმდება 4-6 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას წყლის მოხმარება ხდება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, რისთვისაც წყალაღება ხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების ქსელიდან. საყოფაცხოვრებო-ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხდება ქალაქის ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები შეიკრიბება ობიექტზე გათვალისწინებულ სანიაღვრე ქსელში, საიდანაც გადაინაცვლებს ნავთობდამჭერ სალექარში. სალექარში წარმოქმნილი ნარჩენები, დროებით დასაწყობდება ობიექტის ტერიტორიაზე და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვების მქონე კომპანიას. იმის გათვალისწინებით, რომ ავტოგასამართი სადგურის ტერიტორია მობეტონდება და ნავთობპროდუქტების გასაცემი სვეტები განთავსდება გადახურულ (ფარდულის) ტიპის ნაგებობაში, ხოლო ობიექტის პერიმეტრი აღჭურვილი იქნება სანიაღვრე სისტემითა და სალექარით, დაგეგმილი პროექტის ფარგლებში მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო, ინერტული და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. წარმოქმნილი ნარჩენები შეგროვდება სეპარირებულად, სპეციალურ კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო და ინერტული ნარჩენების გატანა მოხდება მუნიციპალურ სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები (ნავთობპროდუქტებით დაზინძურებული ტანსაცმელი, აბსორბენტები, ხელსაწყოები და სხვა), შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. რაც შეეხება სარეზერვუარო პარკის რეკონსტრუქციის შედეგად ამოღებულ რეზერვუარებს, მათი გატანა და დასაწყობება მოხდება ქ. თბილისის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ კუთვნილ საწყობში. რეზერვუარები,

რომლებიც არ იქნება შემდგომი გამოყენებისათვის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. ობიექტის მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, რომელთა მაქსიმალური ინტენსივობები ფიქსირდება საწვავის მიღების, შენახვისა და რეალიზაციისას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას, წლის განმავლობაში, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა უმნიშვნელოა და არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დასაშვებ ნორმებს. აღსანიშნავია, რომ ნავთობპროდუქტების შესანახი რეზერვუარები განთავსებული იქნება მიწის ქვეშ, რაც ამცირებს მათზე გარემო ფაქტორების (მზის გამოსხივება, ტემპერატურა და ა.შ) უარყოფითი ზემოქმედების რისკს, ასევე, ზღუდავს გაფრქვევათა შორ მანძილებზე გავრცელების საფრთხეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაფრქვევები ლოკალიზებულია ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე და იშვიათად სცილდება ობიექტის განთავსების ტერიტორიის საზღვრებს. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაცია არ უკავშირდება ხმაურის წარმოქმნილი დანადგარების გამოყენებას, შესაბამისად, ობიექტის ფუნქციონირების შედეგად, ხმაურის გავრცელების კანონმდებლობით დასაშვები დონეების გადაჭარბება, არ არის მოსალოდნელი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგური არ მდებარეობს ჭარბტენიანი, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიის სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ობიექტის მიმდებარედ არ ფიქსირდება არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია არსებული ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე, ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სადაც არ არის წარმოდგენილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი. ობიექტის სიახლოვეს არ არის ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

როგორც უკვე აღინიშნა, სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის სამხრეთით, დაახლოებით 310 მეტრში მდებარეობს შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ ავტოგასამართი სადგური. არსებულ ობიექტზე ნავთობპროდუქტების საცავების ჯამური მოცულობისა (62,832 ტონა) და იმის გათვალისწინებით, რომ ავტოგასამართი სადგურის გაფრქვევები ლოკალიზებულია და იშვიათად სცილდება ობიექტის განთავსების ტერიტორიის საზღვრებს, დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული მნიშვნელოვან კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკრინინგის პროცედურას ექვემდებარება ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა, რომელიც ავტოგასამართი სადგურების შემთხვევაში წარმოადგენს მხოლოდ საწვავის რეალიზაციასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ნაწილს.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბის, სპეციფიკის, საპროექტო პარამეტრების და საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. ბათუმში, გიორგი ლეონიძის ქ. №9-ში შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ ავტოგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ ვალდებულია, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო